ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 196 (20537) ◆ პარასკევი, 25 აგვისტო, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 427

1989 წლის 15 აგვისტო, ქ. თბილისი

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს შემუშავებული და რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის მიერ მოწონებული ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა.
2. დაევალოს რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას უზრუნველყონ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელი და დროული შესრულება.
3. ყველა ორგანიზაციამ, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროგრამის შესრულებასთან, ორი თვის ვადაში დაამუშაოს და წარადგინოს საქართველოს მინისტრთა საბჭოში კონკრეტული წინადადებები, მათი რეალიზაციის ვადების ჩვენებით.
4. ამ დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაეკისროთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ჭითანავა.

საუბარი საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში

24 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო სრულიად ჩინეთის ქალთა ფედერაციის დელეგაცია ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, სრულიად ჩინეთის ქალთა ფედერაციის თავმჯდომარის ჩენ მუხუას მეთაურობით.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ სსრ კავშირში ესოდენ წარმომადგენლობითი დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის კიდევ ერთი დადასტურებაა. საქართველოს მშრომელები, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი მიესალმებიან საბჭოთა და ჩინელი ხალხების საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრული ურთიერთობის განვითარებას, საქმიანი კონტაქტების განმტკიცებას. მყარდება საქართველოს პირდაპირი კავშირურთიერთობა ჩინეთის პროვინციებთან.

სსრ კავშირმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ დიდი გამოცდილება შეიძინეს გარდაქმნისა და სამეურნეო, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების რეფორმების დარგში, რომელთა მიზნები და მეთოდები ესოდენ ახლობელია ორივე ქვეყნისათვის.

საუბრისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩინეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის ამასწინანდელ ვიზიტს, ჩინეთის ხელმძღვანელებთან შეხვედრებსა და მოლაპარაკებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ორი უდიდესი სოციალისტური სახელმწიფოს მეგობრობისა და საქმიანი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, არამედ ქვეყნად მშვიდობის საქმისთვისაც.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ნახელავი მოსწონთ

ქარხანა „თბილისხელსაწყო" რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. მისი პროდუქცია დიდად მოსწონთ ჩვენს ქვეყანაში.

აქ მზადდება უნიკალური ხელსაწყოები სახალხო მეურნეობისათვის. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა საზღვაო ნაოსნობაში გამოსაყენებელი სახანძრო სიგნალიზაცია „დელფინის" კომპლექსზე, ბრუნვის სიჩქარის მზომ ტაქომეტრზე.

ამჟამად ქარხანაში იქმნება ახალი სახეობის პროდუქცია, რომელიც უკვე გაისად სერიულად გამოვა. საწარმოს წარმატებებში წვლილი შეაქვთ მოწინავე ელექტრომემონტაჟეებს დალი მამისარაშვილსა და მარინე ყაზარიანს.

სურათზე: დალი მამისარაშვილი და მარინე ყაზარიანი მუშაობისას.

მ. კვირიკაშვილის ფოტო.

ბუნების წინააღმდეგ — მაშასადამე სიცოცხლის წინააღმდეგ

ხშირად ხდება, რომ ვტკბებით ბუნების სილამაზით, აღფრთოვანებული ვართ მისი უნიკალური ქმნილებებით, მაგრამ უმეტესწილად მომხმარებლის პოზიციას უფრო ვამჟღავნებთ, ვიდრე იმ უდიდესი ჰარმონიის პარტნიორისა და სრულფასოვანი მონაწილისას, რომელიც იქმნებოდა გარემოს უსასრულო აღმშენებლობითი საქმიანობის შედეგად. ამიტომაცაა, ალბათ, რომ ადამიანი მოუფიქრებლად ჩეხავს ულრან ტყეებს, ადგილს უცვლის მთებს, კალაპოტს — მდინარეებს, თანაც ამაყობს თავისი ყოვლისშემძლე გონებით, რომელსაც, სამწუხაროდ, იგი ჯერჯერობით ბუნების უაზრო დაპყრობისათვის იყენებს. არადა, რად უნდა ბუნების დაპყრობა? ნუთუ სწორია აზრი, რომ ადამიანს, რომელიც სამყაროს მოაზროვნე ნაწილს წარმოადგენს, თავისი არსებობით დისჰარმონია შეაქვს მის მარადიულ სიცოცხლეში.

ძნელია თავიდან მოიშორო ასეთი სევდიანი ფიქრები მას შემდეგ, როცა მოივლი არაგვის ხეობას და საკუთარი თვალით იხილავ ბოლო ათწლეულის განმავლობაში აქაური სამეურნეო საქმიანობის შედეგებს. დაღარულ-დამახინჯებული ზურმუხტისფერი მთების ფერდობები, აქა-იქ მხრჩოლავი სხვადასხვა საწარმო, რომლებიც უშვებენ ასფალტს და საერთოდ სხვა საჭირო პროდუქციას, აგუგუნებული სამშენებლო ტექნიკა, მთის პატარა მდინარეების კალაპოტები, რომლებიც ამოვსებულია გაფუჭებული ავტომობილების სალტეებით. თითქოსდა მის სამფლობელოებში ესოდენ ურცხვი შეჭრით შეძრწუნებული, ისედაც ამაყი და ურჩი არაგვი, გზას მიიკვლევს ხერგილებს შორის კალაპოტში, რომელსაც განუწყვეტლივ ჩვენივე ხელით ვანგრევთ.

23 აგვისტოს აქ რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებთან, შემოქმედი და მეცნიერი ინტელიგენციის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე. მან დაათვალიერა ახლახან საექსპლოატაციოდ გადაცემული ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური. როგორც ცნობილია, ამ ჰიდროკვანძის ფუნქციონირების მიზანშეწონილობის შესახებ დღემდე სხვადასხვა თვალსაზრისია. ერთი რამ ცხადია: უნდა მივაღწიოთ, რომ ეს მრავალმიზნობრივი ობიექტი საფრთხეს არ უქმნიდეს გარემოს, თორემ სხვაგვარად ძნელი იქნება მისი არსებობის დასაბუთება იმის მოშველიებით, რომ მას სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, იმ ადგილებში, სადაც ჟინვალი კაშხალი ფერდობებთან არის შეერთებული, განუწყვეტლივ ჟონავს წყალი, რაც დამატებითი სამუშაოების შესრულებას მოითხოვს.

სტუმრებმა ჩაიარეს მშენებარე გაზსადენის ტრასა. სამწუხაროდ, კვლავ დავრწმუნდით, რომ შემკვეთი, დამპროექტებლები და მშენებლები, რომლებიც ამწუთიერ ინტერესებს იცავენ, მთლიანად უგულებელყოფენ რეგიონში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მოძველებული აზროვნების ინერცია სულ უფრო იჩენს თავს, უწყებრივ ინტერესებს მსხვერპლად ეწირება უნიკალური ბუნება. თვალში გეცემათ დამახინჯებული მინდვრები, სიმყარეს მოკლებული დაღარული ფერდობები, ბუნების დაცვის ღონისძიებათა ნიშანწყალიც არ ჩანს, რაც ადამიანს პოეტების მიერ ამ ხოტბასშესხმული მხარის ხვალინდელი დღისათვის შიშს უნერგავს. სამეურნეო საქმიანობა ფაქტობრივად ანგრევს აქ ადამიანის ბინადრობის გარემოს, შეუქცევადი პროცესების მიზეზი ხდება. ამიტომ შემდეგ გამართულ თათბირზე სრულიად პრინციპულად ითქვა, რომ დაუშვებელია ესოდენ უგუნური ჩარევა ჩვილი ბუნების სიცოცხლეში. აღინიშნა, რომ სამშენებლო ორგანიზაციებმა, ბოლოს და ბოლოს, ხელი უნდა აიღონ ნებისმიერ ფასად გეგმების შესრულების პრაქტიკაზე. დროა ტექნოკრატიული აზროვნება სხვა შინაარსით აღავსონ. მაგალითად, როგორ შეიძლება გულგრილად დავსვათ ისეთი დასახლებული პუნქტის დატბორვის საკითხი, როგორიც ანანურია. რა მატერიალური მოგებით შეიძლება გავამართლოთ მისი დანგრევა, ანანური ხომ ჩვენი ისტორიაა, რომელსაც ვერ მოსწყვეტ ხალხის აწმყოსა და მომავალს. რა პასუხი გავცეთ შთამომავლობას?!

ამასთან დაკავშირებით თათბირზე შესაბამის ორგანიზაციებს დაევალათ შეიმუშაონ წინადადებანი არაგვისა და დარიალის ხეობების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ზონად გამოცხადების შესახებ. ითქვა აგრეთვე, რომ ბუნების დაცვის ორგანოებს უნდა მიენიჭოთ საგანგებო უფლებამოსილება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს მიიღონ უფრო მტკიცე ზომები იმ უწყება-ორგანიზაციათა მიმართ, ვინც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს გარემოს.

ბუნებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების ყოველ ფაქტს, ხაზგასმით აღინიშნა გ. გუმბარიძემ, უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა საგანგებოდ განვიხილოთ შემკვეთის, დამპროექტებლისა და მშენებლების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი.

თათბირზე გადაწყდა, დაუყოვნებლივ შეწყდეს გაზსადენის გაყვანა და მთელი ძალები და საშუალებანი გადართონ მიწების რეკულტივაციისა და ლანდშაფტის აღდგენის სამუშაოთა განხორციელებაზე. გადაწყვეტილია აგრეთვე მოეწყოს პროექტის საგულდაგულო ეკოლოგიური ექსპერტიზა და მხოლოდ ამის მერე განისაზღვროს მშენებლობის შემდგომი ბედი.

რაც შეეხება ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურს, წინადადება წამოაყენეს, სპეციალისტების ძალებით დაწვრილებით შეისწავლონ შექმნილი ვითარება და მათი წინადადებების მიხედვით განახორციელონ შესაბამისი სამუშაოები.

თათბირში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ალექსანდრე პავმენცევი.

თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის სპეც. კორ.

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

23 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო ისრაელის ოფიციალური დელეგაცია, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაშია საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის მოწვევით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ქალაქ აშდოდის მერი ცვი ცილკერი, ისრაელის პრემიერ-მინისტრის სპეციალური მრჩეველი, თბილისში დაბადებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იცხაკ დავიდი და ცნობილი ისრაელი ბიზნესმენი, ჩვენი თანამემამულე აბრამ იოსებაშვილი.

ნოდარ ჭითანავამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მტკიცდება საქართველოს და ისრაელის კონტაქტები სხვადასხვა დარგში. გამოთქვა რწმენა, რომ ესოდენ წარმომადგენლობითი დელეგაციის ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ქართველი და ისრაელი ხალხების მეგობრული და საქმიანი ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას. საუბარში განიხილეს კულტურის, მეცნიერების, ტექნიკისა და განათლების, ეკონომიკისა და ვაჭრობის დარგში თანამშრომლობის განმტკიცების პერსპექტივები. აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ მთავრობა დიდ ინტერესს იჩენს ისრაელთან კონტაქტების გაფართოებისადმი, მზად არის ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მათ განვითარებას, მოაგვაროს დელეგაციების რეგულარული გაცვლა ყველა დონეზე.

შეხვედრაზე განიხილეს იმის შესაძლებლობები, რომ უკვე უახლოეს დროში თბილისსა და აშდოდში შეიქმნას საქართველოს და ისრაელის კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის ცენტრები, ერთობლივი საწარმოები, მოეწყობა საქართველოს და ისრაელის მეცნიერთა ექსპედიციები ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე, გაიხსნას თბილის-თელ-ავივის პირდაპირი ავიარეისი.

ცვი ცილკერმა და დელეგაციის სხვა წევრებმა აღნიშნეს, რომ ისრაელის მთავრობა მიესალმება საქართველოსთან მზარდ მრავალმხრივ კონტაქტებს, დადებითად აფასებს მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. იგი მხარს უჭერს ისრაელში მცხოვრებ 60 ათასი ქართველი ებრაელის მისწრაფებას განამტკიცონ ურთიერთობა საქართველოსთან, შეინარჩუნონ ქართული ენა და ქართული კულტურის ტრადიციები.

(საქინფორმი).

აფხაზეთში კვლავ დაძაბულობაა

აფხაზეთში, სადაც უკვე თვეზე მეტია მოქმედებს მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმი, მკაცრად რომ შესრულებულიყო სამართალდამცავი ორგანოების მითითება, მოსახლეობას ნებაყოფლობით ჩაებარებინა ცეცხლსასროლი იარაღი, ქალაქ გაგრის ზონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საძოვარზე ამ დღეებში ტრაგედია არ დატრიალდებოდა. აქ კოლმეურნეები დ. ნაგაბედიანი და რ. ჩოლოკიანი წაიჩხუბნენ. ერთმანეთს ესროლეს რეგისტრაციაში გაუტარებელი სანადირო თოფებით, რის შედეგად ჩოლოკიანი გარდაიცვალა, ნაგაბედიანი კი მძიმედ დაიჭრა. მართალია, ეს შემთხვევა უშუალოდ არ არის დაკავშირებული ეროვნებათშორის კონფლიქტთან, მაგრამ იმის გამო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას ჯერ კიდევ ხელთ აქვს დიდძალი იარაღი, მის ქალაქებსა და სოფლებში კვლავ დაძაბული ვითარებაა, რომელსაც დღედაღამ კონტროლს უწევს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ქვედანაყოფთა საპატრულო სამსახური.

სწორედ ამის შესახებ ილაპარაკეს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში ჟურნალისტთათვის გამართულ ბრიფინგზე. მასში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, პოლკოვნიკი გ. ლომინაძე, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ბ. სმისლოვი, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურებისა და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები. ბრიფინგი გახსნა და უძღვებოდა აფხაზეთში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი პრესცენტრის ხელმძღვანელი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ი. გაისენკო.

განიხილეს რეგიონის ოპერატიულ ვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. აღინიშნა, რომ ბოლო დროს გაძლიერდა ყოველგვარი დანაშაულის წინააღმდეგ შეტევითი ბრძოლა, დიდი მუშაობა წარმოებს სამართალდამცავ ორგანოებში კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის. ბრიფინგზე ილაპარაკეს იმაზე, თუ რამდენად ორგანიზებულია პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ურთიერთმოქმედება. აღინიშნა, რომ ოპერატიულ-საგამოძიებო ბრიგადის შემადგენლობაში შედიან პროკურატურისა და მილიციის მუშაკები. მის მუშაობაში ჩაბმული არიან ყველაზე გამოცდილი, კრისტალურად პატიოსანი ადამიანები. მისი შემადგენლობა ინტერნაციონალურია. ბრიგადას კვალიფიციური კადრებით დიდი დახმარება გაუწია სსრ კავშირის პროკურატურამ. მთელი მუშაობა მიმდინარეობს აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროების მუშაკებთან მჭიდრო კონტაქტით.

გამოძიება ჯერჯერობით დაწყებით სტადიაშია. თორმეტი კაცი უკვე დააპატიმრეს. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია დანაშაულის ჩადენაში ოცი ეჭვმიტანილი. საქმეს აქტიურად ზედამხედველობს სსრ კავშირის პროკურატურა.

იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს ავტონომიური რესპუბლიკის ვითარებას შინაგანი ჯარების ჯგუფის სარდლობა, მოკლედ ილაპარაკა გენერალ-ლეიტენანტმა ბ. სმისლოვმა.

— ვითარებას ჩვენი სპეციფიკიდან გამომდინარე ვაფასებთ. აფხაზეთში მყოფი შინაგანი ჯარების კონტინგენტის შემადგენლობაში არიან გამოცდილი ოფიცრები და სამხედრო მოსამსახურენი. ადგილობრივი მცხოვრებნი გულისწყრომითა და თვალცრემლიანნი ხშირად გვეკითხებიან: რამ მიიყვანა რესპუბლიკა ასეთ მდგომარეობამდე? მე მგონი, პასუხს ისინი ხშირად თავად იძლევიან. ეს საბჭოთა ხალხის მეგობრობაზე გარკვეული თავდასხმები, წამქეზებლური გამოსვლებია. ახლა გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმა ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხში. არის და კვლავ ჩნდება ყველა საკითხის, მათ შორის ეროვნებათშორისი საკითხის მშვიდობიანი, დემოკრატიული გზით გადაწყვეტის ახალი შესაძლებლობანი.

დღეისათვის ბრიფინგის მონაწილეთა მრავალ მნიშვნელოვან კითხვას უპასუხა აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, პოლკოვნიკმა გ. ლომინაძემ. ეს კითხვები ეხებოდა არა მარტო ბოლო შვიდი თვის განმავლობაში დამნაშავეობის სტატისტიკისა და დინამიკის ანალიზს, არამედ უმთავრესად ივლისის ტრაგიკულ დღეებში ეროვნებათშორისი შეტაკების აღკვეთისათვის ბრძოლაში მილიციის მუშაკთა როლს, აგრეთვე იმას, თუ როგორ დაისაჯნენ ისინი, ვინც ჯეროვნად არ შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამი მილიციის უფროსი გათავისუფლებულია თანამდებობიდან, 17 ხელმძღვანელი მუშაკი დაისაჯა. ახლაც მიმდინარეობს სამსახურებრივი გამოძიება.

ბრიფინგზე კვლავ შეეხნენ იმ ფარულ საშიშროებას, რომელსაც შეიცავს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ქონა. იმით, რომ ზოგმა ნებაყოფლობით ჩააბარა ან მოსახლეობას ჩამოართვეს 2128 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის 378 ხრახნილლულიანი, პრობლემა სულაც არ არის გადაჭრილი.

დასასრულ ბრიფინგზე გამოითქვა რწმენა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ აფხაზეთში ვითარების მოსაგვარებლად. (საქინფორმი).

განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის გადაწყვეტილებები!

წლევანდელმა ამინდის ექსტრემალურმა პირობებმა საოცრად დიდი სიძნელეების წინაშე დააყენა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელები. საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა, კერძოდ, მეცხოველეობაშიც. გვალვით გადატრუსული საძოვრები და გადარჩენილი ნათესი ბალახები არ იძლევა საქონლის მაძღრისად გამოზამთრების საშუალებას. არადა, როგორც იტყვიან, ზამთარი ცხრა მთას იქით როდია. ამიტომაც ახლა ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ გადარჩენილი საკვები კულტურების უდანაკარგოდ აღება-დაბინავების, ფერმების ჯეროვნად დათბუნების, მექანიზაციის მოწესრიგებისა და სხვა სამუშაოთა ხარისხიანად ჩატარებისათვის. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ხაშურის რაიონში, რა და როგორ კეთდება აქ იმისათვის, რომ მომზადებულნი შეხვდნენ პირუტყვის გამოზამთრებას? ამის გასაგებად ვეწვიეთ ხაშურს.

გამოზამთრებამდე დიდი დრო არ დარჩა

საკვების დამზადება და ფერმების შეკეთება უნდა დაჩქარდეს

რაიონში მეცხოველეობა ერთ-ერთი ძირითადი დარგია. და თუმცა აქ მისი განვითარების ბევრი რეზერვია, იგი მაინც ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. გასულ წლებზე რომ არაფერი ვთქვათ, წლევანდელ ექვს თვეშიც რაიონის მეცხოველეებმა ცუდად იმუშავეს, ვერ უზრუნველყვეს ხორცისა და რძის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულება. სახელმწიფოს მიეყიდა შესაბამისად 31 და 431 ტონით ნაკლები აუცილებელი პროდუქცია. არასახარბიელო მდგომარეობაა მეფრინველეობაშიც. ამასთან გაუარესდა სახელმწიფოსათვის ჩაბარებული რძისა და ხორცის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. მარტო ამით რაიონმა 37 ათასი მანეთი იზარალა.

ასეთი მდგომარეობა, ცხადია, ობიექტური მიზეზებითაც არის გაპირობებული, მაგრამ სუბიექტური მაინც სჭარბობს. რაიონში დაბალია ზოოვეტმომსახურების დონე. ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში კი მისი არსებობა საერთოდ არ ეტყობა საქმეს, რაც საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს პროდუქტიულობაზე. ამის დამადასტურებელია ასეთი მაგალითებიც: ალის საბჭოთა მეურნეობაში გასულ 6 თვეში თითოეული ფურის წველადობამ 1218 კილოგრამი შეადგინა, სატივის კოლმეურნეობასა და ფლევის საბჭოთა მეურნეობაში კი შესაბამისად — 780 და 751 კილოგრამი (?!).

საზოგადოებრივ მეურნეობებში არსებული 2.635 სული მეწველი ფურიდან 500, ანუ 18 პროცენტი, დაბალპროდუქტიული და ხანდაზმულია. სასურველ შედეგს ჯერ ვერ იძლევა საქონლის ჯიშობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ადგილზე მისი აღწარმოებისათვის გაწეული მუშაობა. ამიტომ დაიწყეს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან დეკეულების შემოყვანა. მაგრამ აქაც არის წინააღმდეგობები. შემოყვანილი ჯიშიანი პირუტყვი ხომ მეტ მოვლას და სათანადო კვების რაციონს საჭიროებს, რასაც მეურნეობები სათანადოდ ვერ ახერხებენ.

ამის გამო, რომ ოსიაურის კოლმეურნეობაში 1982 წელს შემოყვანილი ჯიშიანი პირუტყვიდან 38 სულიღა შემორჩათ, დანარჩენი კი მოუვლელობით დაჯანდაგდა და დაავადდა. სამაგიეროდ მეიხვეობის სამეურნეობათაშორისო საწარმომ შემოყვანილ 27 სულ ჯიშიან პირუტყვს უკეთ მოუარა. შედეგიც არ არის ცუდი — თითოეულის წველადობა 2.320 კილოგრამია. სურამის კოლმეურნეობაშიც თითოეული ჯიშიანი ფურიდან ყოველწლიურად 2100 კილოგრამ რძეს ღებულობენ, ხცის კოლმეურნეობაში კი — 1967 კილოგრამს. თავისთავად ეს მონაცემებიც ბევრი ვერაფერი თავმოსაწონია, და იმას კი მიანიშნებს, რომ დღემდე ამ დარგს რაიონში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება.

რა და როგორ კეთდება ამჟამად რაიონში მდგომარეობის გამოსწორებისათვის? პარტიის ხაშურის რაიკომის პირველ მდივანთან როლანდ მულაძესთან ერთად ვნახეთ ცხრამუხის საბჭოთა მეურნეობასთან შექმნილი მეცხოველეობის კოოპერატივი, რომელსაც უშანგი ხვედელიძე ხელმძღვანელობს. მისი ოჯახი 25 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს და 12 ქურს უვლის და სახელმწიფო შესყიდვის ფასებში დიდძალ პროდუქციასაც აბარებს მეურნეობას. თავის მხრივ მეურნეობაც ეხმარება მას, 10 ჰექტარზე მეტი მიწა გამოუყო საძოვრად მტკვრის მარცხენა ნაპირზე ეგრეთწოდებულ ქალის უბნის დასახლებაში, აძლევს ფურაჟს და სხვ.

ამ უბანში 200 ჰექტრამდე „მიგდებული" მიწაა, რომელიც ერთ დროს აგურის ქარხანას ეკუთვნოდა. ახლა მისი გაკულტურება და აქ კოოპერატივების შექმნა აქვთ გადაწყვეტილი. კოოპერატორებს მეურნეობა ყველა პირობას შეუქმნის საქონლისა და ღორის მოსაშენებლად.

ასეთი „მიგდებული" მიწა რაიონში ბევრია. მტკვრის მარცხენა მხარეს დაცარიელდა მთის სოფლები ლულუმბო, აზარმეთი, ხავლეთი და სხვა. ეს სოფლები ქალაქსა და რაიონს კვებავდა ხორცით, რძითა და რძის პროდუქტებით. გადაწყდა, აღნიშნულ ნასოფლარებზე მეცხოველეობის კოოპერატივების შექმნა. ესეც დიდი რეზერვია. აუთვისებელია აგრეთვე ოსიაურში, ზემო ქართლში, ალსა და სხვა სოფლებში ფერმების მიმდებარე ტერიტორიები. საკვები კულტურების წარმოების მიზნით მათი შემოღობვა და მიწის გაკულტურების სამუშაოები უკვე დაიწყო, რაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს მეცხოველეობის რენტაბელობას.

მაგრამ ნებისმიერი გარჯა წყალში გადაყრილი იქნება, თუ უშუალოდ ადგილებზე, საზოგადოებრივ მეურნეობებში, ხელმძღვანელმა მუშაკებმა თუ რიგითმა წევრებმა საქმისადმი პასუხისმგებლური მიდგომით ყოველი ღონე არ იხმარეს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ყველანი ასე როდი იქცევიან. აბა, რა გამართლება უნდა ჰქონდეს იმას, რომ ზოგიერთი მეურნეობის მესვეურებს მართლა ბედის ანაბარა ჰყავთ მიტოვებული მთებში საზაფხულო იალაღებზე მყოფი მწყემსებიც და პირუტყვიც. ერთხელაც არ აკითხავენ მათ, არ დაინტერესდებიან მათი საჭიროებებით. როგორც რაიონული გაზეთის მასალებითაც ჩანს, ასე იქცევიან, კერძოდ, ქვიშხეთის, ცხრამუხის, ფლევის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვათა ხელმძღვანელები თუ ვეტექიმები.

წლეულს საზოგადოებრივი მეურნეობების ფერმებში სულ გამოიზამთრებს 7.200 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, რომელთაგან 2.700 ფურია. რაიონში ჰყავთ აგრეთვე 3.071 ღორი ნამატით და 9.680 ფრთა ფრინველი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მათი საკვები ბაზის უზრუნველყოფას, პირველ რიგში სარწყავზე ნათესი ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების მოვლა-დამუშავებას, მთისწინა ფერდობებზე მდებარე სათიბების გაკულტურებას, რაც ხელს შეუწყობს თივის უხვი მოსავლის მიღებას.

ამგვარმა ნაყოფიერმა და კონკრეტულმა მუშაობამ კარგი შედეგიც გამოიღო. კლიმატური სიძნელეების მიუხედავად, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, დამზადებულია 257 ტონით მეტი თივა, 152 ტონით მეტი სენაჟი, 315 ტონით მეტი სილოსი და 782 ტონით მეტი ნამჯა. თუმცა ეს ხაშურულ საკვებმომპოვებლებს სულაც არ აძლევს თვითდამშვიდების უფლებას, რადგან, ჯერ ერთი, მეტი ყუათიანი საკვები, მეტი რძე და მეტი ხორცია და, მეორეც: მიღწევები ძირითადად მოწინავე მეურნეობების საკვებმომპოვებელთა ნაყოფიერი გარჯის შედეგია. ყველგან ერთნაირი შემართებითა და პასუხისმგებლობით არ ირჯებიან. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

რამდენიმე სიტყვით უნდა ითქვას ფერმებისა და მექანიზმების რემონტზეც. საზოგადოებრივ მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის გათვალისწინებული 56 ფერმიდან 47 არატიპიურია, აქედანაც ბევრი ამორტიზებულია. ამას ისიც ემატება, რომ დიდთოვლიანობამ დააზიანა შენობები, სახურავები ჩაინგრა, კედლები გაიბზარა. მათი რემონტისათვის გამოყოფილი ფონდირებული საშენი მასალები კი არ კმარა, რის გამოც სათანადო სამუშაოები ჭიანურდება.

გასარემონტებელია ოსიაურის კოლმეურნეობის ფერმების ორი სადგომი, გამოსაცვლელია სახურავი, შესაკეთებელია კედლები, წაღვლის მეურნეობაში ფერმების შენობები არატიპიური და ამორტიზებულია. კედლები აღსადგენია, სახურავი — შესაკეთებელი, შენობები — შესალესი და შესაღები. მაგრამ ეს სამუშაოები დღემდე არ არის დაწყებული. ნელი ტემპით მიმდინარეობს სურამისა და სატივის კოლმეურნეობებში თითოეული 200 სულისათვის გათვალისწინებული ახალი საძროხეების მშენებლობა, რომელიც 1985 წელს დაიწყო. საძროხეებს ხაშურის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭო აშენებს, რომელსაც, როგორც ვთქვით, საშენი მასალების ნაკლებობა ძალიან აფერხებს.

როგორია მდგომარეობა ფერმებში სამუშაოთა მექანიზაციის მხრივ? როგორც აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ მექანიზაციის დარგში ზურაბ ჯაფარაშვილმა გვითხრა, ძველ, ამორტიზებულ ფერმებში ნაკელის გატანა, პირუტყვის დარწყულება, წველა და საკვების დაქუცმაცება მექანიზებული წესით სრულდება, ექვს ტიპურ ფერმაში კი ყველა პროცესი მექანიზებულია.

მაგრამ მექანიზმების დამონტაჟებასა და რემონტს შემოტანილი დანადგარების უხარისხობასთან ერთად ფერმების შენობათა გაჭიანურებული რემონტიც აძნელებს. აღსანიშნავია ისიც, რომ რაიონში მხოლოდ სამი საკვებშემამზადებელი საამქრო აქვთ — ზემო ქართლის, სურამისა და ოსიაურის კოლმეურნეობებში. თანაც ზემო ქართლში ეს საამქრო 20 წელია მუშაობს და მისი დანადგარ-მოწყობილობები ამორტიზებულია. სურამისა და ოსიაურის კოლმეურნეობებში კი ისინი შიფერით შემორაგულ და შიფერითვე გადახურულ შენობებშია დამონტაჟებული. აქაური მკაცრი ზამთარი და ყინვები კი აზიანებს ამ საამქროებს, მწყობრიდან გამოჰყავს ისინი. რა აზრი აქვს ასეთი საამქროების არსებობას?

მოკლედ, როგორც ვნახეთ, ხაშურის რაიონში, სადაც ამ ბოლო ხანს სერიოზულად დაინტერესდნენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის პრობლემით, ამ მხრივ გასაკეთებელ-მოსაგვარებელი და საფიქრალ-საზრუნავი საკმაოდ აქვთ. საჭიროა გეგმაზომიერი, პასუხისმგებლური და ნაყოფიერი გარჯა, რათა მათ სასურველ შედეგს მიაღწიონ.

გიორგი ნოდია,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ისტორიის ფურცლები

არ უნდა დაგვრჩეს „თეთრი ლაქები“

საქართველოს გასაბჭოების სამართლებრივი შეფასება

მაინც რა იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს იმას, რაც საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტში მოხდა და სიმბოლურად 25 თებერვლის აქტით — დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობითა და საბჭოთა წყობილების დამყარებით გამოიხატება?

უპირველეს ყოვლისა, ეს იყო აგრესია. ესაა განსახილველი მოვლენის ყველაზე უფრო ზოგადი სამართლებრივი კვალიფიკაცია.

აგრესია ეტიმოლოგიურად, სიტყვის წარმომავლობის მიხედვით, თავდასხმას ნიშნავს. აგრესიის არსის შეცნობის, მოვლენის ისტორიული ფესვების ძიების თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ რომის სამართლის ცნობილ წყაროებში — დიგესტებსა და იუსტინიანეს კოდექსში (VI საუკუნე) „აგრესორი“ მძარცველსა და მკვლელს აღნიშნავდა. ამ მნიშვნელობით ძველ ქართულ სამართალში ტერმინი „მეკობრე“ იხმარებოდა.

აგრესიის თანამედროვე იურიდიული შინაარსი გულისხმობს საერთაშორისო სამართალთან შეუთავსებელ ნებისმიერ ძალადობას, რასაც სახელმწიფო მიმართავს სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

უტყუარი ისტორიული მასალებით დასტურდება, რომ 1921 წლის 25 თებერვლის აქტი იყო უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების დარღვევა, გულდასმით მომზადებული და წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით განხორციელებული აგრესია. მაგრამ ასეთ შეფასებაზე შეჩერება არამც და არამც არ შეიძლება.

იგი მეტისმეტად ზოგადია და, მაშასადამე, დასაკონკრეტებელია. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ განხორციელდა პირდაპირი აგრესია. ეს იყო აგრესიის ყველაზე უფრო საშიში ფორმა — შეიარაღებული თავდასხმა (შეიარაღებული აგრესია).

პირდაპირი აგრესიის აქტით საბჭოთა მთავრობამ ცალმხრივად, თანაც უხეშად დაარღვია და მოშალა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება. რუსეთის ჯარების შემოჭრა საქართველოში ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების ფაქტობრივი დარღვევით განხორციელდა.

სამხედრო ძალის უკანონო გამოყენება, ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა სახელმწიფოზე მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. სწორედ კაცობრიობის საწინააღმდეგო უმძიმეს დანაშაულად გამოაცხადა აგრესია თვით საბჭოთა სახელმწიფოს პირველმა საგარეო-პოლიტიკურმა აქტმა — 1917 წლის 26 ოქტომბრის (8 ნოემბრის) დეკრეტმა ზავის შესახებ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებული აგრესიის აქტის გამართლება რაიმე პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა მოსაზრებით დაუშვებელია.

აგრესიის შედარებით სრულყოფილი ცნება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა. ეს გარემოება როდი გამორიცხავს მის მისადაგებას საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტში დატრიალებული მოვლენებისადმი. საქმე ისაა, რომ აგრესიის საერთაშორისო დაგმობის იდეა იმ დროისათვის უკვე საკმაოდ ღრმად ფესვგადგმული იყო.

თავდაპირველად აგრესიის აკრძალვის იდეა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპის სახით წამოიჭრა და ჩამოყალიბდა 1917 წლის ზემოხსენებულ ლენინისეულ დეკრეტში ზავის შესახებ. რაც მთავარია, აგრესიის დაგმობა აისახა ერთა ლიგის წესდებაში. ამასთანავე, ეს წესდება შევიდა პარიზის 1919-1920 წლების კონფერენციის მიერ შემუშავებულ საზავო ხელშეკრულებებში, რომლებითაც ოფიციალურად დასრულდა პირველი მსოფლიო ომი (ვერსალის 1919 წლის საზავო ხელშეკრულება და სხვ.).

სხვათა შორის, საბჭოური თვალსაზრისი ერთა ლიგის „ანტისაბჭოთა ხაზის“ ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნევს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარევას „საქართველოს საკითხში“ მის გასაბჭოებასთან დაკავშირებით.

უნდა ითქვას, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, მისი არსებობის მთელ პერიოდში, არაპირდაპირი აგრესიის აქტებიც ხორციელდებოდა. ასეთი იყო, სახელდობრ, ძირგამომთხრელი საქმიანობის წაქეზება, სამოქალაქო ომის გაჩაღებისა და შინაგანი გადატრიალებისათვის ხელის შეწყობა. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება შეიცავდა რუსეთის ერთ იმთავითვე არარეალურ ვალდებულებას. ხელშეკრულების მე-6 მუხლის მიხედვით, „რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედების... იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნად საქართველოს მთავრობის დამხობა ექნება დასახული“. ამ ვალდებულებას საბჭოთა რუსეთი, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ შეასრულებდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დაუძინებელი მტრის, მისი დამხობის მონადინე და ყოველნაირად მეცადინე ორგანიზაციის — საქართველოს კომპარტიის მიმართ, რომელიც რკპ(ბ) შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ყველაზე ცუდი მაინც ის იყო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა პირდაპირი ანუ შეიარაღებული აგრესიის ობიექტი.

საკმარისად, ამომწურავად ასეთი შეფასებაც ვერ ჩაითვლება. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს სამხედრო ოკუპაცია — თავისი შეიარაღებული ძალებით დაიკავა დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია.

სამხედრო აქცია, უსამართლო ომი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1920 წლის მაისის პირველ რიცხვებში დაიწყო — სწორედ იმ დღეებში, როდესაც ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო მოლაპარაკება მიმდინარეობდა. გ. ორჯონიკიძე ამ დროს ერთ-ორ კვირაში იმედოვნებდა თბილისის აღებას. მაგრამ მაშინ საქმე კეთილად დამთავრდა. ლენინი, ნ. ჟორდანიას სიტყვით, „ევროპის სკანდალს მოერიდა და გადასწყვიტა ხელშეკრულების დადება“ („კომუნისტი“, 1989 წლის 30 ივლისი).

თუმცაღა, მალე გამოირკვა, რომ ეს იყო „ლენინური შესვენება“ (გ. ორჯონიკიძე). 1921 წლის დასაწყისში საბჭოთა ხელმძღვანელობამ დაჩქარებულად დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საწინააღმდეგო სამხედრო აქციის საგულდაგულოდ მომზადება და გეგმაზომიერად განხორციელება.

„საქართველოს საკითხს“ მსვლელობა მიეცა რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინის 1921 წლის 20 იანვრის „მამხილებელი“ წერილის საფუძველზე. ჩიჩერინი ლენინს სთავაზობდა „გათავხედებული“ საქართველოს გასაბჭოებას სამხედრო ჩარევის მეშვეობით. 24 იანვარს სტალინმა კატეგორიულად მიმართა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს დაუყოვნებლივ მოეწონებინათ „ჩიჩერინის ხაზი“ და დირექტივა მიეცათ ორჯონიკიძისათვის, რათა მას მოემზადებინა მეამბოხეთა გამოსვლები „საქართველოს გარკვეულ რაიონებში“. ლენინმაც საქმის სწრაფად წარმართვა მოითხოვა და შეადგინა სათანადო რეზოლუციის პროექტი, რომელიც 26 იანვარს დაადასტურა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. ამ ლენინისეული დოკუმენტის დანიშნულება იყო საქართველოსთან წარმატებული ომის უზრუნველყოფა. 28 იანვარს სტალინმა უდეპეშა ორჯონიკიძეს ცეკას „გადაწყვეტილება გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა“, რათა საჭიროებისას განხორციელდეს „სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია“ (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ვ. ი. ლენინის თხზ. 42-ე ტომის 289-290 გვ., 1989 წლის 27 ივნისის „ზარია ვოსტოკა“, 10 ივნისის, 1 და 11 აგვისტოს „კომუნისტი“).

ცოტა ხნის შემდეგ, 14 და 15 თებერვალს, ცეკას პოლიტბიურომ დაამტკიცა რუსეთის მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსადმი მიმართული ორი ლენინისეული დეპეშა, რომლებითაც სარდლობას ნება დაერთო აქტიურად დაეჭირა მხარი ვითომდა საქართველოში დაწყებული „აჯანყებისათვის“ და ეგრეთ წოდებული ნეიტრალური ზონის (სომხეთ-საქართველოს საზღვარზე მდებარე სოფელ ლორეს) უშიშროების უზრუნველსაყოფად(!) დაეკავებინა, აეღო თბილისი „საერთაშორისო ნორმების დაცვით“. ფაქტობრივად ეს ნიშნავდა პირდაპირი აგრესიის, სამხედრო ოკუპაციის სანქციონირებას. ვ. ი. ლენინმა, განათლებით იურისტმა, ცხადია, კარგად იცოდა, რომ შეუძლებელია ერთი სახელმწიფოს ჯარმა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების დაცვით თვითნებურად აიღოს ამ სახელმწიფოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებით დაკავშირებული მეორე დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს დედაქალაქი.

ეტყობა, ამიტომაც იყო, რომ ლენინს 14 თებერვლის ზემოაღნიშნულ დეპეშაზე მიუწერია: „... უმჯობესია შეინახოთ არქისაიდუმლოდ 2-3 თვით“. ნიშანდობლივია ისიც, რომ ხსენებული დეპეშები პირველად მხოლოდ 1965 წელს (ესე იგი პოლიტბიუროს სხდომაზე მათი დამტკიცებიდან 44 წლის შემდეგ) გამოქვეყნდა.

ასე ამოძრავდა უზარმაზარი სახელმწიფოს ზემძლავრი პარტიულ-ადმინისტრაციული აპარატი და სამხედრო მანქანა პატარა ქვეყნის ახლად ფეხადგმული დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

კავკასიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ გ. ორჯონიკიძემ თადარიგი ადრევე დაიჭირა. მისი დავალების შესაბამისად რუსეთის მე-11 არმიის სარდალმა ჰეკერმა ჯერ კიდევ 1920 წლის 18 დეკემბერს მოამზადა საიდუმლო მოხსენება, „თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქართველოში შეჭრა და რა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ამისათვის“ („სამშობლო“, 1989 წლის ივლისი, №18).

ჰეკერმა ყოველმხრივ გააანალიზა „საქართველოს ოკუპაციის პრობლემა“, გაითვალისწინა საერთაშორისო ფაქტორი (მიუთითა, რომ აუცილებელია „შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან“, რადგან თურქებთან ურთიერთობის წინასწარი მოგვარების გარეშე საშიშად მიიჩნია „საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება“), დაგეგმა სამხედრო ძალების თავმოყრა და განლაგება, ჯარების მომარაგების მოგვარება „საქართველოზე თავდასხმის“ დაწყებამდე („თბილისზე ლაშქრობის დროს ჯარის მომარაგებას გზაზე შეუძლია გამოიწვიოს პროტესტები მოსახლეობისა, რომელიც მტრულადაა განწყობილი წითელი არმიის მიმართ“). სარდალს ძალზე აწუხებდა ზურგის ვითარება („კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ზურგი არ შემიძლია უშიშრად ჩავთვალო“). ცხადია, იგი ანგარიშს უწევდა ქართული სამხედრო ძალების მდგომარეობას („ქართულ ჯარებს შეუძლიათ წინააღმდეგობა, განსაკუთრებით თუ თავიდანვე ჩვენ ინიციატივა წაგვერთვა“).

საქართველოზე შეტევა, — მოახსენებდა რუსეთის არმიის სარდალი ჰეკერი ქართველ ორჯონიკიძეს, — „უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხალხს“ (თუ ასე არ მოხდება, „მაშინ უნდა მოველოდეთ იმას, რომ ომი საქართველოს წინააღმდეგ მიიღებს ხანგრძლივ ხასიათს“). ჰეკერი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „ამ პირობების და ჯარის ერთეულთა სიმტკიცის შემთხვევაში... კამპანია საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება მოთავდეს ექვსი კვირის განმავლობაში“.

ასე დაიგეგმა რუსეთის ჯარების შეჭრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს იყო პირდაპირი აგრესიის უშუალო მომზადება. მალე რუსეთის არმია თავს დაესხა საქართველოს და, ამრიგად, აგრესიის აქტი პრაქტიკულადაც განხორციელდა.

საბჭოთა ჯარების 1921 წლის თებერვალ-მარტის ოპერაციები საქართველოს წინააღმდეგ შესწავლილია რუსულ სპეციალურ (სამხედრო-ისტორიულ) ლიტერატურაში. განხილულია სამხედრო ოპერაციების გეგმები, გაანალიზებულია მათი ღირსება-ნაკლოვანებანი და კორექტივები ომის მსვლელობის დროს. ასე მაგალითად, ჯარის ნაწილებისადმი 17 თებერვლის ბრძანების მიხედვით თბილისი 19 თებერვალს უნდა აეღოთ. მაგრამ თბილისის მისადგომებთან საბჭოთა ჯარი შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა. ქართველთა ჯავშანმატარებლებს ძალზე შეუვიწროებიათ მტრის არტილერია. მათი ორი თვითმფრინავი წარმატებით ბომბავდა საბჭოთა ნაწილებს. მტრის 58-ე ბრიგადამ 19 თებერვალს იაღლუჯის მიდამოებში 530 კაცი დაკარგა. ასე რომ, თბილისზე ელვისებური შეტევა ჩაიშალა. 21 თებერვლის ბრძანების საფუძველზე მოხდა საბჭოთა ჯარების გადაჯგუფება, მათ 24 თებერვალს კვლავ შეუტიეს თბილისს. ბრძოლაში ჩაერთო ავიაცია, ტანკები და საქართველოს დედაქალაქიც დაეცა.

საქართველოს დამარცხება ამ უთანასწორო ომში, ცხადია, მოსალოდნელი იყო. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1921 წლის აპრილის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ყოველ მხრიდან შემოესიენ რუსეთის ჯარები, კერძოდ, მე-11 არმია, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე-13 არმიები, და აგრეთვე ბუდიონის და ჟლობას კავალერიის ნაწილები... სამხედრო ტექნიკას და მასალას მოკლებული, უმოკავშირეოდ, თავის ბედის ანაბარად მიტოვებული საქართველო, რომელიც არსაიდან დახმარებას არ მოელოდა, ხანგრძლივად ვერ გაუძლებდა დიდ რუსეთს“.

მართლაც, აგრესია, უსამართლო ომი საქართველოს სრული ოკუპაციით დასრულდა.

ახლა ვიკითხოთ, თუ რა მიზნით განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია, რა ამოძრავებდა საბჭოთა რუსეთს?

პასუხი ცხადზე უცხადესია. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, მისი სტრატეგიული მნიშვნელობისა და ეკონომიკურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა გასაბჭოების გზით თავის ორბიტაში მოექცია იგი. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, რევოლუციის ექსპორტზე ლაპარაკობენ ხოლმე. მაგრამ საქართველოს იმდროინდელ ვითარებაში რევოლუციის პროვოცირება ვერა და ვერ მოხერხდა. ასე რომ, საქართველოში რუსეთის მხრივ პირდაპირ საბჭოთა წესწყობილების ექსპორტირება განხორციელდა.

სამხედრო ოკუპაციის ზემოხსენებულ მიზანდანიშნულებასთან დაკავშირებით 25 თებერვლის აქტის სამართლებრივი შეფასების კიდევ ერთი მხარე გამოიკვეთა.

საბჭოთა წესწყობილების ექსპორტირება რსფსრ-ის მხრიდან მოასწავებდა ძალმომრეობით ჩარევას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. ამას კი საერთაშორისო სამართალში ინტერვენცია ეწოდება. მაშასადამე, საბჭოთა წესწყობილების ექსპორტირება, რაც რუსეთის ფედერაციამ საქართველოში 1921 წლის თებერვალში განახორციელა, ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას ანუ ინტერვენციას წარმოადგენდა.

ამგვარად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებით რუსეთის ფედერაციამ უგულებელყო სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი, რომელიც ჯერ კიდევ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ჩამოაყალიბა და შემდგომში ცივილიზებულ საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად იქცა. ამ პრინციპის განმსაზღვრელი მნიშვნელობა დაადასტურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1965 წლის 21 დეკემბრის „დეკლარაციამ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ“. დეკლარაციით აღიარებულია, რომ „ყოველ სახელმწიფოს აქვს ხელშეუვალი უფლება აირჩიოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სისტემა სხვა რომელიმე სახელმწიფოს მხრივ ამა თუ იმ ფორმით ჩარევის გარეშე“ (მუხ. 5).

ინტერვენციას კრძალავს საერთაშორისო სამართალი. ერთი სახელმწიფოს ჩარევა მეორის საშინაო საქმეებში საერთაშორისო დელიქტად არის მიჩნეული. ინტერვენცია ხელყოფს სახელმწიფოს სუვერენიტეტს. იგი დაუშვებელი და გაუმართლებელია.

ამასთანავე, ცნობილია ეგრეთ წოდებული „დასაშვები“ ინტერვენციის თეორია. იგი შესაძლებლად მიიჩნევს ინტერვენციას ცალკეულ შემთხვევებში, გამამართლებელი პირობების არსებობის დროს. უნდა ითქვას, რომ ასეთი „სამართლებრივი“ საფუძვლის არსებობისა და საქართველოში ინტერვენციის გამართლების ილუზიის შექმნას რუსეთის ოფიციალური პირები და სათანადო ორგანოებიც ცდილობდნენ. სახელდობრ, ომის მომზადებასთან დაკავშირებით ლენინი მოითხოვდა აღენიშნათ, რომ „საქართველო საშინლად გათავხედდა“; სისტემატურად უნდა შეეკრიბათ მასალები იმის საჩვენებლად, რომ საქართველო ვითომ-და არღვევდა 7 მაისის ხელშეკრულების პირობებს.

სწორედ „მამხილებელი“ მასალების მოპოვების მიზნით მიუთითა ლენინმა 1921 წლის 26 იანვარს რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ მან საქართველოსგან გამომწვევად — „უფრო დაჟინებით მოითხოვოს სომხეთში სურსათ-სანოვაგის გატარება“. მართლაც, ერთი თვის შემდეგ (28 თებერვალს) ლენინმა რუსეთის ჯარების საქართველოში შეჭრის გასამართლებლად იმ გარემოებაზედაც მიუთითა, რომ „ქართველი მენშევიკების ხელში იყო სომეხი გლეხობის სურსათის გასაღები — საერთო რკინიგზა. არავის არ ეყოფა მოთმინება წაიკითხოს ის დეპეშები, განცხადებანი და პროტესტები, რომლებითაც ჩვენ მივმართავდით საქართველოს ამის გამო“ (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 176, ტ. 42, გვ. 289). ასეთივე ხელოვნურ საბაბს წარმოადგენდა აგრეთვე აჯანყება ლორეს ნეიტრალურ ზონაში. უხერხულიც კია იმაზე სერიოზულად მსჯელობა, რომ ამ ეგრეთ წოდებული „აჯანყების“ მონაწილეთა დასაცავად სამხედრო მოსაზრებით აუცილებელი იყო თბილისის დაკავება, მისი აღება მე-11 არმიის მიერ. არადა, სწორედ ასეა ნათქვამი რკპ(ბ) ცეკას პოლიტბიუროს 1921 წლის 14-15 თებერვლის დეპეშებში, რომლებიც ხსენებული არმიის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს გაეგზავნა.

ვერც საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თხოვნა-მიმართვა ლენინისადმი აჯანყებულთათვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე ვერ ჩაითვლება მართლზომიერ აქტად და რუსეთის ჯარების საქართველოში შემოჭრის სამართლებრივ საფუძვლად თუნდაც იმ უბრალო და აწ აბსოლუტურად უდავო მიზეზის გამო, რომ იმ დროს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობიანობა სუფევდა და სინამდვილეში არავითარი აჯანყება არ ყოფილა.

საბჭოთა მხარე ხშირად უჩიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევას. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მას საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის დროს ასეთი მოტივი არ წამოუყენებია, რაც ხსენებული ბრალდების უსაფუძვლობის მაჩვენებელია. ამასთან, საქართველოს კიდეც რომ დაერღვია ხელშეკრულების რომელიმე პირობა, ეს სრულიადაც არ იძლეოდა დამოუკიდებელ ქვეყანაში ლაშქრით შესევისა და მისი ოკუპაციის უფლებას. საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპი ისეთია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების თაობაზე წამოჭრილი ყველა დავა უნდა განიხილებოდეს მშვიდობიანი გზით (არბიტრაჟი, სასამართლო, შემთანხმებელი კომისია).

ასე რომ, რუსეთის ფედერაციის ჯარების შემოჭრა საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და საბჭოთა წესწყობილების დამყარების მიზნით არამართლზომიერი, საერთაშორისო სამართლით დასაგმობი აქტია, დაუფარავი ინტერვენცია. მისი გამართლებისა და მართლზომიერების მტკიცების ყოველგვარი ცდა ეგრეთ წოდებული „დასაშვები“ ინტერვენციის, ამ რეაქციული და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შეუთავსებელი თეორიის ერთგვარ გამოვლინებად წარმოგვიდგება.

რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ძალის შეყვანითა და ამ გზით ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევით განახორციელა ინტერვენციის ყველაზე უფრო აშკარა და საშიში სახეობა — შეიარაღებული ინტერვენცია. ასეთი ინტერვენცია კი აგრესიად არის მიჩნეული. სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის თაობაზე მიღებულ ზემოხსენებულ დეკლარაციაში პირდაპირაა აღნიშნული, რომ „შეიარაღებული ჩარევა აგრესიის სინონიმია“.

მოკლედ რომ ვთქვათ, შეიარაღებულ ინტერვენციას მოიცავს, ფარავს აგრესიის ცნება. ამის მიუხედავად, ინტერვენციის სპეციფიკის გათვალისწინებით მაინც მიზანშეწონილია პირდაპირი აგრესიის გვერდით მისი ცალკე, დამოუკიდებელ ნიშნად გამოყოფა 1921 წლის 25 თებერვლის აქტის სამართლებრივ შეფასებაში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ **რუსეთის ფედერაციამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წლის თებერვალ-მარტში განახორციელა პირდაპირი აგრესია შეიარაღებული ინტერვენციის ფორმით, საბჭოთა წესწყობილების ექსპორტირება სამხედრო ოკუპაციის საფუძველზე.**

ასე გვესახება რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის, სახელდობრ კი 1921 წლის 25 თებერვლის აქტის იურიდიული კვალიფიკაცია.

ახლა განვიხილოთ მოვლენების შემდგომი განვითარების სამართლებრივი შეფასების საკითხი.

იურიდიული თვალსაზრისით როგორი იყო და რამდენ ხანს გრძელდებოდა სამხედრო ოკუპაციის რეჟიმი საქართველოში?

საოკუპაციო რეჟიმს განსაზღვრავს ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციები ომის კანონჩვეულებების შესახებ და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები. ცხადია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია, რაც საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში განახორციელა, არამართლზომიერ აქტს წარმოადგენდა. საერთოდ სამხედრო ოკუპაცია მართლზომიერი თუ უკანონო, თავისთავად არ ცვლის ოკუპირებული ტერიტორიის კუთვნილებას და ოკუპანტს სუვერენიტეტი არ გადაეცემა. ოღონდ ეს კია, რომ ოკუპაციის დროს ოკუპირებული სახელმწიფოს ხელისუფლება პრაქტიკულად შეწყვეტილია და ქვეყნის მართვა-გამგეობას, როგორც წესი, საოკუპაციო ჯარის სამხედრო სარდლობა ახორციელებს. იგი პატივისცემით უნდა მოეპყრას ადგილობრივ მოსახლეობას. სამხედრო ოკუპაციის რეჟიმი დროებითი ხასიათისაა და ჯერ კიდევ არ ნიშნავს ანექსიას. იგი უქმდება ომის მდგომარეობის შეწყვეტასთან ერთად და ამის შემდეგ შეიარაღებულ ძალებს ან გაიყვანენ ოკუპირებული სახელმწიფოდან, ან შეუცვლიან ხოლმე ქვეყანაში ყოფნის სამართლებრივ საფუძველს, სტატუსსა და ფუნქციებს.

საქართველოშიც ანალოგიური სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა.

ოკუპაციამდე საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. მისი ეს სამართლებრივი სტატუსი არც ოკუპაციის პროცესში და არც შემდგომ პერიოდში არ შეცვლილა. იურიდიულად საქართველო კვლავაც ცალკე არსებულ დამოუკიდებელ რესპუბლიკად რჩებოდა. მაოკუპირებელ სახელმწიფოს — რუსეთის ფედერაციას — არ მინიჭებია ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრების უფლება და სუვერენიტეტი. იმდროინდელ დოკუმენტებში ოფიციალურად აღინიშნებოდა, რომ წითელი არმიის მიზანს არ შეადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. ჯერ კიდევ 1921 წლის 16 თებერვლის აქტში — რევკომის მიმართვაში ლენინისადმი „აჯანყებულთათვის“ დახმარების აღმოჩენის შესახებ იხსენიება „საქართველოს ახალშობილი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“. 18 თებერვალს კი, მენშევიკური მთავრობის დამხობის თაობაზე გამოცემულ მოწოდებაში პირდაპირ გამოცხადდა, რომ „ამიერიდან საქართველო სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკაა“. მართლაც, მომდევნო პერიოდში საქართველო სწორედ ამ სამართლებრივი სტატუსით არსებობდა და მოქმედებდა.

ოკუპაციის პროცესში ჩამოყალიბდა საგანგებო სახელმწიფო ორგანოები — რევოლუციური კომიტეტები. განისაზღვრა საქართველოს სსრ-ის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ერთიანი სისტემა, მათი კომპეტენცია და საქმიანობის წესი (საქართველოს რევკომის 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტი საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ). ლენინი, როგორც რსფსრ-ის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, აღიარებდა საქართველოს სსრ-ის სუვერენული ორგანოების არსებობას და მოითხოვდა მათდამი მე-11 არმიის ხელმძღვანელობის მხრივ განსაკუთრებული პატივისცემით მოპყრობას, ქართველი მოსახლეობის მიმართ საგანგებო ყურადღებისა და სიფრთხილის გამოჩენას. და მაინც, ლენინის მითითება არ ცვლიდა სამხედრო ოკუპაციის ხასიათს. საოკუპაციო რეჟიმის შესაფერისად, რეალური ხელისუფლება საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ორგანოებს კი არა, არამედ მაოკუპირებელი ქვეყნის — რსფსრ-ის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა. ამ მხრივ უდავოდ სარწმუნოა საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ფ. მახარაძის განცხადება, რომ იმ პერიოდში მტკიცე ადგილობრივი ხელისუფლების დამყარება ვერ მოხერხდა, „რადგან რამდენიმე ორგანო აღმოჩნდა: ერთი მხრივ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რევოლუციური კომიტეტი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად იყვნენ ამ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, მეორე მხრივ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭო და XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო, რომლებიც ფაქტობრივად ნამდვილად ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები იყვნენ. ეს უკანასკნელი ორგანოები უმეტესწილად საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და რევოლუციური კომიტეტისათვის შეუტყობინებლად უაპელაციოდ წყვეტდნენ ყველა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხს, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ეხებოდა“ („კომუნისტი“, 1989 წლის 10 ივნისი).

ასეთი ვითარება რუსი ბოლშევიკებისაგან ქართველი კომუნისტების „გამასხარავებას“ როდი მოასწავებდა. იგი სავსებით შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული სამხედრო საოკუპაციო რეჟიმის პირობებს.

მალე საბჭოთა რუსეთმა მიღწეულად ჩათვალა ის მიზანი, რისთვისაც განხორციელდა მისი ჯარის საქართველოში შემოჭრა და საოკუპაციო რეჟიმის შემოღება. უკვე განაღდებული იყო დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და საბჭოთა წესწყობილების დამყარება. ოკუპაცია ისედაც ხომ დროებითი ღონისძიებაა და მისი გახანგრძლივება თვით მაოკუპირებელ რუსეთსაც ხელს არ აძლევდა, რადგანაც ამით მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში აშკარად ჩირქი ეცხებოდა ერთა თვითგამორკვევის მედროშე და ჩაგრული ხალხების ქომაგ საბჭოთა მთავრობას. დღის წესრიგში დადგა ყავლგასული საოკუპაციო რეჟიმის იურიდიულად გაუქმება, რაც ორმხრივი აქტით განხორციელდა. იგულისხმება 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა და საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მამია ორახელაშვილმა.

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულება თავისებურად საყურადღებო საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტია. იგი როგორც ფორმით, ისე შინაარსით განსხვავდებოდა რსფსრ-ისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისაგან. თვით მხარეები პირველ მათგანს პრეამბულაში (შესავალ ნაწილში) ზოგადად „ხელშეკრულებას“ („განსაკუთრებულ ხელშეკრულებას“) უწოდებენ, მეორეს კი — „მუშურ-გლეხურ საკავშირო ხელშეკრულებას“. ასეთი სხვადასხვაობა, ცხადია, სრულიადაც არ იყო შემთხვევითი მოვლენა.

21 მაისის ხელშეკრულების სახელწოდებაში („მუშურ-გლეხური საკავშირო ხელშეკრულება“) ყურადღებას იქცევს ორი მომენტი: ჯერ ერთი, მასში გამოხატულია იდეოლოგიური ნიშანთვისება, ხელშეკრულების კლასობრივი ბუნება და დანიშნულება — მხარეთა შორის დადებული აქტი მუშურ-გლეხურია, ამ კლასების ინტერესების შესაბამისია; მეორეც, მასში ასახულია ხელშეკრულებით დამყარებული და განმტკიცებული იურიდიული ურთიერთობის რაობა — მხარეთა ურთიერთმიმართება კავშირის ხასიათისაა, — ახლო, მჭიდრო ურთიერთობის, სიახლოვის, ერთიანობის ნიადაგზეა დაფუძნებული. ორივე ეს მომენტი გაპირობებული იყო იმით, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთი და იმავე ტიპის სახელმწიფოებს — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს წარმოადგენდნენ. მეორე მომენტის — კავშირის — შინაარსი პირველი ნიშან-თვისების — კლასობრიობის — პრინციპით განისაზღვრებოდა. მხარეებმა ხაზგასმით განაცხადეს, რომ მათ მიერ ნაკისრ ყველა ვალდებულებას განაპირობებდა მხოლოდ მუშებისა და გლეხების საერთო ინტერესები.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სავსებით გამოეყო რუსეთის ფედერაციას, იურიდიულად გაწყვიტა მასთან ყოველგვარი სახელმწიფო-სამართლებრივი კავშირი და დაამყარა მარტოოდენ საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა.

1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ საკავშირო ხელშეკრულებაში საერთაშორისო-სამართლებრივს უდავოდ სჭარბობდა სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობა: საქართველოს სსრ საბჭოთა რუსეთთან ერთგვარ ფედერაციულ კავშირ-ურთიერთობას ამყარებდა. გათვალისწინებული იყო სამხედრო და სამეურნეო კავშირი, სახელმწიფო აპარატის სათანადო დარგების ერთიანობა. ხელშეკრულების მიხედვით, გაერთიანებული ორგანოების ხელმძღვანელობა ხორციელდებოდა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობისა და ცაკის მეშვეობით. გადაწყდა ამ ორგანოებში საქართველოს წარმომადგენლების შეყვანა.

ასეთი ვითარების გათვალისწინებით გასაგებია, რომ 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულება, 7 მაისის ანალოგიური აქტისაგან განსხვავებით, უკვე აღარ შეიცავდა დებულებას საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთის ჩაურევლობის შესახებ.

მაინც, ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ 21 მაისის ხელშეკრულება უდავოდ მოასწავებდა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის შეცვლას და რუსეთ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობის წარმართვას შედარებით დემოკრატიულ სამართლებრივ საწყისებზე.

საოკუპაციო რეჟიმის გაუქმების შემდეგ საქართველოში შექმნილი ვითარების გასათვალისწინებლად საინტერესოა გავიხსენოთ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 15 სექტემბრის დადგენილება ეგრეთ წოდებული „ავტონომიზაციის“ შესახებ. ცეკამ უარყო ეს მართლაც მანკიერი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სუვერენული რესპუბლიკების გადაქცევას რუსეთის ფედერაციის შემადგენელ ნაწილებად. მან, ამასთანავე, მხარი დაუჭირა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებას და საერთო პოლიტიკას, ოღონდ „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით“. საფიქრებელია, რომ ამაში არსებითად იგულისხმებოდა კონფედერაციის საწყისებზე აგებული ურთიერთობა. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური რეჟიმი უკვე აღარ იყო საოკუპაციო. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა დამოუკიდებლობის ატრიბუტების შენარჩუნების მოთხოვნა.

1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური საქართველოს სუვერენულობის აღიარებისათვის. მან, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ძირითადი პრინციპების შესაბამისად, კვლავაც ოფიციალურად დაადასტურა, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიისადმი ქართული მიწაწყლის წინანდელი ფაქტობრივი კუთვნილების გამო საქართველოს არავითარი ვალდებულება არ ეკისრებოდა. ხალხთა თვითგამორკვევის უფლებიდან გამომდინარე, რსფსრ და საქართველოს სსრ ცნობდნენ ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის დამოუკიდებლობასა და სუვერენულობას. ამისგან განსხვავებით, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაში განმტკიცებული იყო არა ორმხრივი, არამედ მხოლოდ ცალმხრივი ცნობის აქტი — რსფსრ-ის მხრივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება. ეს იმით აიხსნება, რომ 7 მაისის ხელშეკრულებით განმტკიცდა რუსეთისაგან საქართველოს გამოცალკევება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ამგვარად, რსფსრ საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ საბჭოთა რესპუბლიკად აღიარებდა.

ასეთი სამართლებრივი სტატუსი შემდგომში განამტკიცა საქართველოს სსრ პირველმა (1922 წლის) კონსტიტუციამ: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც არ იწყნარებს არავის სწორუფლებიან მფლობელობას თავის ტერიტორიაზე; სამაგიეროდ, არც თვითონ განავრცელებს თავის უფლებებს თავის საზღვრებს გარეშე“ (მუხ. 5). სუვერენული რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსით შევიდა საქართველოს სსრ ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შემადგენლობაში. 1936 წლიდან იგი სრულუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკაა.

დღევანდელი კონსტიტუციური სტატუსის მიხედვით საქართველო არის მოკავშირე რესპუბლიკა, სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სხვა ასეთსავე რესპუბლიკებთან ერთად თანასწორუფლებიანობის საფუძველზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირად გაერთიანდა (სსრ კავშირის კონსტიტუცია, მუხ. 76, საქართველოს სსრ კონსტიტუცია, მუხ. 68).

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოს სამართლებრივ სტატუსს საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში არ შეესაბამებოდა და თანამედროვე ეტაპზედაც არ მიესადაგება მისი ფაქტობრივი მდგომარეობა. ამ მხრივ სიტყვასა და საქმეს შუა მართლაც რომ დიდი ზღვარია. აშკარა იყო რსფსრ-ის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის დიქტატი, რომელსაც საბჭოთა საქართველო თავდაპირველად უშუალოდ, შემდეგ კი ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით განიცდიდა. მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მიღების შემდეგაც საქართველოს სსრ არსებითად იმავე მდგომარეობაშია. ამის მიზეზთა მიზეზი ისაა, რომ სსრ კავშირი ფაქტობრივად ავტონომიის საწყისებზე მოქმედი ფედერაციული სახელმწიფოა, სადაც დამკვიდრებულია იმპერიული მართვა-გამგეობის ტრადიციები.

მიუხედავად ამისა, მაინც უმართებულო იქნებოდა საბჭოთა საქართველოს როგორც ადრინდელი, ისე თანამედროვე სამართლებრივი სტატუსის უგულებელყოფა.

საქართველოს ახლანდელი კონსტიტუციური მდგომარეობა მნიშვნელოვანი მონაპოვარია. იგი ჭეშმარიტი ეროვნული და სახელმწიფო სუვერენიტეტის მიღწევის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ნუ დაგვავიწყდება, რომ საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების მიხედვით სუვერენობა და კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკას გააჩნია. რესპუბლიკის თანამედროვე სამართლებრივი სტატუსი საყრდენად უნდა გამოვიყენოთ და გულმოდგინედ ვიღვაწოთ მისი სრულად ხორცშესხმისათვის იმის გათვალისწინებით, რომ „საჭიროა რადიკალური გარდაქმნები საბჭოთა ფედერაციაში“ (სკკპ პლატფორმის პროექტი — „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში“).

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივ შეფასებას, მას დღეს შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად ქმედითი ისტორიულ-იურიდიული არგუმენტის როლიც ენიჭება რესპუბლიკის ნამდვილი სუვერენულობისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის გაშლილ სახალხო მოძრაობაში.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ჯარებს თბილისში „წინ მიუძღოდა წითელი ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველ-კომისართაგანი. მას გვერდით უხილავათ მოჰყვებოდა, გაძვალტყავებულ ჯახრიკაზე, ძონძებში გახვეული ჩონჩხი, და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი“ (ზ. ავალიშვილი). დიახ, ეს ნამდვილად ასე იყო, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ არ მოისპო ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ეს კი იმის საიმედო საწინდარია, რომ ჩვენი „ივერი აღსდგეს ძლიერი, და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“ (გრ. ორბელიანი).

იაკობ ფუტკარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

(დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 195).

პარტიული კომიტეტების პლენუმები

გუდაუთა. გაიმართა საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა კ. კ. ოზგანი პარტიის გუდაუთის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პარტიის გუდაუთის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ი. დ. ლაკობა, რომელიც გუდაუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

• • •

გულრიფში. გაიმართა საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა რ. ვ. კვანტალიანი პარტიის გულრიფშის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პარტიის გულრიფშის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია დ. დ. გვაძაბია, რომელიც პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის აგრარული განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობდა.

• • •

ოჩამჩირე. გაიმართა საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა ს. ვ. ბალაფში პარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პლენუმმა პარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად აირჩია ქ. თ. სალია, რომელიც საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობდა.

(საქინფორმი).

სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოების სესიები

გულრიფში. გაიმართა გულრიფშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ გაათავისუფლა ვ. ბ. კაჭარავა გულრიფშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

გულრიფშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ო. პ. ჩარკვიანი, რომელიც პარტიის გულრიფშის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობდა.

• • •

ოჩამჩირე. გაიმართა ოჩამჩირის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ გაათავისუფლა თ. ვ. კაკუჩაია ოჩამჩირის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ოჩამჩირის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ხ. ტ. გუგუჩია, რომელიც ოჩამჩირის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორად მუშაობდა.

(საქინფორმი).

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი

საკითხი	შემსრულებელი	კონტროლი
1. ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა სახის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში	შესაბამისი ორგანიზაციებისა და უწყებების ხელმძღვანელები	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
2. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით — კონტროლი გაუწიოს ქართულის, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებას	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო
3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით — კონტროლი გაუწიოს ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირებასა და სიწმინდის დაცვას; შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებანი სალიტერატურო ენის ნორმათა დასამკვიდრებლად.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
4. რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ქართული ენის ფუნქციონირებისა და სიწმინდის დაცვის საზედამხედველო და საკონსულტაციო კომისიების შექმნა	სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
5. ქართულ ენაზე ყველა დარგის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის (მათ შორის — სადისერტაციო ნაშრომების) შექმნისა და გამოცემის ორგანიზაცია	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ გამსახკომი, გამომცემლობა „მეცნიერება“	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
6. რესპუბლიკაში მცხოვრები ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეთათვის ქართული ენის დასაუფლებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა (ფინანსური და სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა) ყველა დაწესებულებასა და საწარმოში	შესაბამის დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები	სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოები
7. „ქართული ენის დღის“ დაწესება (ამ დღეს შეჯამდება, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების საქმეში; გამოიცემა ერთდროული გაზეთი „დედაენა“)	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო

II. ქართული ენის მეცნიერული შესწავლა

საკითხი	შემსრულებელი	კონტროლი
1. ქართული ენის აკადემიური კურსის დამუშავება (მრავალტომეული)	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
2. ენციკლოპედიის „ქართული ენა“ მომზადება და გამოცემა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
3. ქართული ენის სოციოლინგვისტური ასპექტით შესწავლა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
4. ქართული ენისა და კულტურის პრობლემატიკის კვლევა	თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
5. ქართული ენის კომპიუტერული ფონდის, ქართულიდან და ქართულად თარგმნის ავტომატიზებული სისტემებისა და ქართული შრიფტით უზრუნველყოფილი კომპიუტერიზებული კომპლექსის შექმნა; ქართული ენის სწავლების ავტომატიზაციისათვის გამიზნული ავტომატური ცნობარების დამუშავება; ქართული მეტყველების კომპილაციური სინთეზის დამუშავება	თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
6. ქართველური (ქართული, სვანური, მეგრულ-ჭანური) ენებისა და დიალექტების მეცნიერული შესწავლა გენეტიკური და ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ქართველურ ენათა დიალექტოლოგიური ლექსიკონების შედგენა და დიალექტური ტექსტების გამოსაცემად მომზადება; ეთნოგრაფიული რეალიებისა და დიალექტური ფრაზეოლოგიზმების ლექსიკონის (მრავალტომეულის) მომზადება; საზღვარგარეთის სახელმწიფოებში (ირანში, თურქეთში...) ქართველთა კომპაქტური დასახლების რეგიონებში ქართული მეტყველების მეცნიერული შესწავლის მიზნით ექსპედიციების მოწყობა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალის, თელავის, სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
7. ქართული ენის განმარტებითი, ისტორიული, ეტიმოლოგიური, ორთოგრაფიული, იდეოგრაფიული, დარგობრივი (ილუსტრირებული), სინონიმთა, ომონიმთა, ანტონიმთა, ხატოვან სიტყვათქმათა, ტერმინოლოგიური (ქართული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, ინგლისურ-ქართული, ფრანგულ-ქართული, გერმანულ-ქართული), თარგმნითი, აბრევიატურისა და შემოკლებათა, სიხშირის ლექსიკონების დამუშავება და გამოსაცემად მომზადება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
8. ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისა და ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების სიმფონიებისა და სიმფონია-ლექსიკონების მომზადება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
9. ქართულ ენაზე დარგობრივი ენციკლოპედიებისა და ცნობარების მომზადება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
10. ძველი ქართული წერილობითი ძეგლების გამოცემა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
11. ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების აკადემიურ გამოცემათა მომზადება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მწერალთა კავშირი, გამომცემლობა „მეცნიერება“	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მწერალთა კავშირი
12. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერული შესწავლა და აკადემიური გამოცემა (რეგულარულად); „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაცია პრესის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, თეატრის, სპეციალური კონკურსების საშუალებით	„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა კავშირები, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა საზოგადოება, საკავშირო ფირმა „მელოდიის“ თბილისის ფილიალი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
13. ქართული ენის ფუნქციური სტილების მეცნიერული შესწავლა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
14. ქართველურ ენათა ონომასტიკის მეცნიერული შესწავლა, ონომასტიკური ლექსიკონების (ერთტომეულებისა და მრავალტომეულების) შედგენა-გამოცემა; საქართველოს სსრ ტოპონიმიის შეგროვება, მეცნიერული დამუშავება და საქართველოს სსრ ტოპონიმთა ლექსიკონის (მრავალტომეულის) შედგენა-გამოცემა; გეოგრაფიული პუნქტების სახელდების მეცნიერული პრინციპებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება	თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ტოპონომიკის ლაბორატორია — ონომასტიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
15. პერსონალური ენციკლოპედიების მომზადება და გამოცემა (შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.)	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
16. ქართველურ ენათა ლინგვისტური ატლასის მომზადება და გამოცემა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რესპუბლიკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
17. ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეთა თხზულებების აკადემიურ გამოცემათა მომზადება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
18. ქართული ენის შესახებ მასობრივი მკითხველისათვის განკუთვნილი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის შექმნა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
19. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საკოორდინაციო საბჭოს შექმნა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
20. სამეცნიერო სამუშაოთა კოორდინაციის, ინფორმაციის გაცვლისა და დისკუსიის მიზნით ქართველოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და სესიების მოწყობა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

III. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლამდელ დაწესებულებებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში

საკითხი	შემსრულებელი	კონტროლი
1. სკოლამდელი დაწესებულებების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ქართული მეტყველების განვითარების პროგრამების შედგენა, სათანადო ლიტერატურისა და თვალსაჩინო მასალის მომზადება ქართულ ენაზე	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
2. პედაგოგიური ინსტიტუტებისა და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების სკოლამდელი აღზრდის სპეციალობისათვის ქართული ენის განახლებული სასწავლო პროგრამების, გეგმებისა და სახელმძღვანელოების დამუშავება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
3. ქართული მეტყველების კულტურის ამაღლების მიზნით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთა და მეთოდისტთა ატესტაციის ჩატარება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
4. რესპუბლიკის საშუალო სკოლებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის განახლებული პროგრამების შედგენა, მათ შესაბამისად ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებისა და ქრესტომათიების მომზადება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს მწერალთა კავშირი	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
5. საშუალო სკოლების I-XI კლასებში ქართული ენის ეტაპობრივი სწავლების ერთიანი გეგმის შემუშავება (მართლწერა და მეტყველება, ფონეტიკა, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ქართული ენის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის ძირითადი საკითხები, ენათმეცნიერების თეორიული საკითხები)	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
6. კლასგარეშე საკითხავი კრებულების, თვალსაჩინო მასალების (პალეოგრაფიული ალბომების, ქართული ხელოვნების ნიმუშების ფოტორეპროდუქციების, ქართული გრამატიკის ტაბულებისა და პლაკატების) მომზადება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
7. რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლაში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების შექმნა და მათი აღჭურვა ახლად გამოსული სამეცნიერო და პედაგოგიკური ლიტერატურით	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს მწერალთა კავშირი	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
8. რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრების ჩამოყალიბება, ქართული მეტყველების კულტურისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმოხილვითი კურსების შემოღება ყველა სპეციალობის სტუდენტებისათვის	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
9. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული პროფილის ფაკულტეტებზე შემსვლელი აბიტურიენტებისათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში სავალდებულო წერითი და ზეპირი გამოცდების დაწესება. სამხატვრო აკადემიაში, თეატრალურ ინსტიტუტსა და კონსერვატორიაში, აგრეთვე საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ სპეციალობებზე შემსვლელი აბიტურიენტებისათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში სავალდებულო წერითი გამოცდის დაწესება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
10. რესპუბლიკის საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის ყველა სასწავლო დისციპლინაში ქართულ ენაზე ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
11. რესპუბლიკის საშუალო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფების 25-მდე მოსწავლითა და სტუდენტით დაკომპლექტების ორგანიზაცია	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
12. ენათა სწავლების საკითხების მომწესრიგებელი საკოორდინაციო სამსახურის შექმნა აღზრდისა და სწავლა-განათლების სისტემაში	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
13. კონკრეტულ წინადადებათა შემუშავება რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
14. საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში არაქართული სექტორების აბიტურიენტებისათვის მისაღები გამოცდების წინ გასაუბრების შემოღება ქართულ ენასა და ლიტერატურაში (გასაუბრების ფორმა შეირჩეს რექტორატის მიერ)	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
15. საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში ფილოლოგიის ფაკულტეტის არაქართულ სექტორებზე ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსების შემოღება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
16. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის ფაკულტეტებზე სინქრონული თარგმნის კურსების (ქართულ-რუსული, ქართულ-ინგლისური, ქართულ-გერმანული, ქართულ-ფრანგული, ქართულ-ესპანური) შექმნა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია

(დასასრული მე-4 გვ.).

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა

საკითხი	შემსრულებელი	კონტროლი
17. ქართული ენის სასკოლო განმარტებითი, ორთოგრაფიული, ხატოვან სიტყვა-თქმათა, საგნობრივ-ილუსტრირებული, ტერმინოლოგიური, უცხო სიტყვათა და თარგმნითი (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, ქართულ-აფხაზური და აფხაზურ-ქართული, ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული, ქართულ-სომხური და სომხურ-ქართული, ქართულ-აზერბაიჯანული და აზერბაიჯანულ-ქართული) ლექსიკონებისა და შესაბამისი სასაუბროების დამუშავება და გამოსაცემად მომზადება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
18. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის დარგში სამეცნიერო შრომათა კრებულის დაარსება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რესპუბლიკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
19. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე სამეცნიერო-მეთოდიკური სესიებისა და კონფერენციების მოწყობა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რესპუბლიკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
20. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სკოლებისა და ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფებისთვის ქმედითი დახმარება (სათანადო ლიტერატურით მომარაგება, გამსვლელი სასწავლო-მეთოდიკური სესიების მოწყობა...)	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
21. ქართული ენის შესწავლის მსურველთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოებისა და თვითმასწავლებლების მომზადება	თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
22. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისა და სწავლების გაღრმავების მიზნით თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-გაფართოება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
23. ქართული ენის შესწავლის მსურველთათვის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (კლუბებთან, ბიბლიოთეკებთან) ქართული ენის წრეების ჩამოყალიბება და მათი მაღალკვალიფიციური პედაგოგებით უზრუნველყოფა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგია
24. საქართველოს სსრ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებსა და პიონერთა სასახლეებში ყოველწლიურად ქართული ენის ოლიმპიადების მოწყობა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
25. საზღვარგარეთის სახელმწიფოებში მცხოვრები ქართველებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოებისა და საქართველოს შესახებ პოპულარული ლიტერატურის გამოცემა-მომზადება	თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი	საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება
26. ქართული ენის საერთაშორისო საზაფხულო სკოლისა და უცხოელთათვის ქართული ენის ინტენსიური შესწავლის კურსების ჩამოყალიბება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგია
IV. რადიომაუწყებლობა, ტელევიზია და კინემატოგრაფია		
1. ქართული სალიტერატურო ენის აქტუალური საკითხების გაშუქების მიზნით ყოველკვირეული რადიო-და ტელეგადაცემების შემოღება რუბრიკით „დედაენის სამრეკლო“	საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
2. საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის არხების სიმძლავრის გაზრდა ქართული გადაცემების საქართველოს სსრ ყველა დასახლებულ პუნქტში მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
3. ქართულენოვან საბავშვო ტელეგადაცემათა შემდგომი გაფართოება	საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი,	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
4. საქართველოს ტელევიზიის არაქართულენოვანი გადაცემების (მიმოხილვების, საუბრების, მხატვრული ფილმების) ქართულ ენაზე გასახმოვანებლად საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, დამატებითი საშტატო ერთეულისა და საჰონორარო თანხის გამოყოფა	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
5. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის სასწავლო ფილმების შექმნა ქართულ ენაზე; რუსულენოვანი სასწავლო ფილმების გახმოვანება ქართულად	საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
6. რუსულ და უცხოურ ენებზე გახმოვანებული კინოფილმებისათვის ქართულენოვანი სუბტიტრების შესაქმნელად და ქართულ ენაზე ფილმების გასახმოვანებლად კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-გაფართოება	საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, რესპუბლიკის მომარაგების მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
V. პრესა		
1. რესპუბლიკურ პრესაში ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურის საკითხების გაშუქება	რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციები	საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი
2. რესპუბლიკურ პრესაში სპეციალური რუბრიკის შემოღება, რომელშიც გამოქვეყნდება მასალები ქართული ენის ისტორიის, თანამედროვე პირობებში ფუნქციონირებისა და ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის შესახებ	რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციები	საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი
3. რედაქციების უზრუნველყოფა სტილისტთა შტატებით	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
VI. კავშირგაბმულობა		
1. რესპუბლიკის სატელეგრაფო ქსელის ქართულშრიფტიანი აპარატებით უზრუნველყოფა	თბილისის სსრკ 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
2. სატელეფონო ქსელის აბონენტთა სიის გამოცემა ქართულ ენაზე	საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა	საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო
VII. ტექნიკური აღჭურვილობა და თვალსაჩინოება		
1. რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, საწარმო-დაწესებულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის აღჭურვა ქართული შრიფტით უზრუნველყოფილი უახლესი ტიპის ფერადი გრაფიკის მქონე კომპიუტერებითა და ქართული ენის კომპიუტერული ფონდის სასწავლო ქვესისტემებით	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, გამოყენებითი ავტომატიზებული სისტემების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში სასწავლო ფონოტეკის შექმნა (ფონოქრესტომათია, არაქართველთათვის გათვალისწინებული სახელმძღვანელოები, ზეპირი მეტყველების განვითარება და სხვ.), სათანადო გრამფირფიტების, დიაფილმების, დიაპოზიტივებისა და ვიდეოკასეტების მასობრივად დამზადება	საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საკავშირო ფირმა „მელოდიის“ თბილისის ფილიალი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
3. ქართული შრიფტის ცენტრალიზებული წარმოება და მისი გამართვა საბეჭდ მანქანებზე	საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, თბილისის სარემონტო-მექანიკური ქარხანა	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
4. ქართული წერის ნიმუშების (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული) ალბომების მასობრივი ტირაჟით გამოცემა.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
5. ქართველურ ენათა ლინგაფონური კაბინეტების შექმნა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
6. ქართველურ ენათა დიალექტების შემსწავლელი ექსპედიციების აღჭურვა შესაბამისი ტრანსპორტითა და აპარატურით (სტაციონარული და პორტატული მაგნიტოფონები, მაგნიტოფირები, კინო- და ფოტოაპარატურა)	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
7. ქართული ხალხური სიმღერების სისტემატური ჩაწერა და მასობრივი ტირაჟით გამოცემა	საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საკავშირო ფირმა „მელოდიის“ თბილისის ფილიალი	საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო
8. ქართულ ენაზე ტურისტული გზამკვლევების, ცნობარებისა და რუკების გამოცემა	საქართველოს სსრ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო	საქართველოს სსრ პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო
9. საქართველოს სსრ სასკოლო ატლასის მომზადება და გამოცემა ქართულ ენაზე	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, კარტოგრაფიის ფაბრიკა, საქართველოს სსრ გამსახკომი	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
10. საქართველოს სსრ ატლასის მომზადება და გამოცემა ქართულ ენაზე	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, კარტოგრაფიის ფაბრიკა, საქართველოს სსრ გამსახკომი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
11. სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის ქართულ ენაზე რუკების (ისტორიული, ფიზიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ლინგვისტური) მომზადება და გამოცემა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტები, კარტოგრაფიის ფაბრიკა	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
12. გლობუსის მომზადება და გამოცემა ქართულ ენაზე	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, კარტოგრაფიის ფაბრიკა	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
13. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი ატლასის მომზადება და გამოცემა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, კარტოგრაფიის ფაბრიკა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
VIII. საგამომცემლო საქმე		
1. ქართული ენის აკადემიური კურსის გამოცემა	გამომცემლობა „მეცნიერება“	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
2. ენციკლოპედიის — „ქართული ენა“ გამოცემა	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ გამსახკომი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
3. სამეცნიერო ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემა	საქართველოს სსრ გამსახკომი, გამომცემლობა „მეცნიერება“	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
4. თარგმნითი ლექსიკონებისა და სასაუბროების (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, აფხაზურ-ქართული და ქართულ-აფხაზური, ოსურ-ქართული და ქართულ-ოსური, გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული, ფრანგულ-ქართული და ქართულ-ფრანგული, ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური, ესპანურ-ქართული და ქართულ-ესპანური, იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური, ბერძნულ-ქართული და ქართულ-ბერძნული, ლათინურ-ქართული და ქართულ-ლათინური, სომხურ-ქართული და ქართულ-სომხური, აზერბაიჯანულ-ქართული და ქართულ-აზერბაიჯანული) გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“ გამომცემლობა „მეცნიერება“	საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
5. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
6. უცხო სიტყვათა ლექსიკონის გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	საქართველოს სსრ გამსახკომი
7. ქართველურ ენათა და დიალექტოლოგიური ლექსიკონების გამოცემა	გამომცემლობა „მეცნიერება“	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ გამსახკომი
8. სასკოლო განმარტებითი, ორთოგრაფიული, ტერმინოლოგიური, ხატოვან სიტყვა-თქმათა, უცხო სიტყვათა და თარგმნითი ლექსიკონებისა (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, ქართულ-აფხაზური და აფხაზურ-ქართული, ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული...) და სასაუბროების გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	საქართველოს სსრ გამსახკომი
9. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის (ორტომეული) გამოცემა (ხელმოწერით)	გამომცემლობა „მეცნიერება“	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
10. სულხან-საბა ორბელიანის გამოკრებილი ლექსიკონის გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	საქართველოს სსრ გამსახკომი
11. ძველი ქართული ენის ლექსიკონის გამოცემა	გამომცემლობა „მეცნიერება“	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
12. ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის გამოცემა (ათტომეული)	გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“	საქართველოს სსრ გამსახკომი
13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა (ერთტომეული).	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია	საქართველოს სსრ გამსახკომი
14. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა (რვატომეული)	საქართველოს სსრ გამსახკომი, გამომცემლობა „მეცნიერება“	საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
15. ქართული სტენოგრაფიული ლექსიკონის გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	საქართველოს სსრ გამსახკომი
16. პირთა ანოტირებული ლექსიკონის (რვატომეულის) გამოცემა (ხელმოწერით)	გამომცემლობა „მეცნიერება“	საქართველოს სსრ გამსახკომი
17. სკოლამდელი დაწესებულებებისათვის შესაბამისი ლიტერატურისა და თვალსაჩინო მასალის გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	საქართველოს სსრ გამსახკომი
18. საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის ქართულ ენაზე ყველა დისციპლინაში სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	საქართველოს სსრ გამსახკომი
19. კლასგარეშე საკითხავი კრებულების (ქრესტომათიების), თვალსაჩინო მასალების (პალეოგრაფიული ალბომების, ქართული ხელოვნების ნიმუშების, ფოტორეპროდუქციების, ქართული ენის გრამატიკის ტაბულებისა და პლაკატების) გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	საქართველოს სსრ გამსახკომი
20. ქართული ენის შესწავლის მსურველთათვის ქართული ენის თვითმასწავლებლებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	საქართველოს სსრ გამსახკომი
21. ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების გამოცემა (რჩეული თხზულებების, თხზულებათა მრავალტომეულების)	გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“	საქართველოს სსრ გამსახკომი
22. მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების ქართულ ენაზე თარგმანების გამოცემა	გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“	საქართველოს სსრ გამსახკომი
23. მსოფლიოს ხალხთა ენებზე ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ საცნობარო პოპულარული ბროშურებისა და ლექსიკონების გამოცემა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ გამსახკომი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
24. ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე შექმნილი ნაშრომების ტირაჟის დადგენა შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებებისა და გამომცემლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით	„საქწიგნი“	საქართველოს სსრ გამსახკომი
25. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ბაზაზე ქართული ენისა და ლიტერატურის რედაქციის შექმნა	საქართველოს სსრ გამსახკომი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
IX. საბიბლიოთეკო საქმე		
1. რესპუბლიკის ბიბლიოთეკების მაქსიმალურად დაკომპლექტება ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე შექმნილი ლიტერატურით	საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო	საქართველოს სსრ გამსახკომის კოლეგია, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგია
X. საყოფაცხოვრებო და საინფორმაციო მომსახურების სფერო		
1. საყოფაცხოვრებო და საინფორმაციო მომსახურების სფეროში ქართული ენის საყოველთაოდ გამოყენების უზრუნველყოფა	შესაბამისი ორგანიზაციები და უწყებები	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
2. საყოველთაო სარგებლობისათვის ქართულ ენაზე გაფორმდეს ყველა სახის ბლანკი, ფორმა, ანკეტა, ქვითარი, აბონემენტი, ტალონი, ბილეთი, ფირნიში, აბრა, სარეკლამო წარწერა, ეტიკეტი, ფასმაჩვენებელი, აფიშა, პლაკატი, ლოზუნგი, კონვერტი, დეპეშის ბლანკი, ღია და მისალოცი ბარათი, კალენდარი, პირადობის მოწმობა; ბლოკნოტი, წიგნაკი, რვეული; ინსტრუქცია-მითითება; სარეკლამო და სამახსოვრო ბუკლეტი; მოსაწვევი ბარათი	ყველა ტიპის ორგანიზაციები და უწყებები	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
3. რესპუბლიკაში გამოშვებული ყველა სახის პროდუქციის ქართულენოვანი ინსტრუქციით უზრუნველყოფა	შესაბამისი ორგანიზაციები და უწყებები	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
4. კონტროლის დაწესება რესპუბლიკაში დამზადებული ყველა სახის პროდუქციის სახელწოდებებზე	შესაბამისი ორგანიზაციები და უწყებები	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შემსრულებელ ყველა ორგანიზაციასა და უწყებას ევალება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში 1989 წლის ბოლომდე წარმოადგინოს ღონისძიებათა შესრულების კონკრეტული გეგმები ვადების მითითებით.

ტელევიზია—პარასკევი, 25 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „რა არის ჩვენი ცხოვრება — თამაში?“. და „უსტ-ილიჩის აკვარელი“. 16.40 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „იმპროვიზაცია ბიოგრაფიის თემაზე“. 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.40 — ხალხური შემოქმედება. „ქალაქური ჰანგები“. 19.15 — განცხადებები. 19.20 — ლიტერატურული გადაცემა. „მოუარეთ საქართველოს“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება. „ჩემო ნათქვამო სიტყვაო“. 20.50 — სპორტული გადაცემა. „45 წუთი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ფილმის შუქ-ჩრდილი. ქართული მხატვრული ფილმი „განძი“.

მეორე პროგრამა. 16.05 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „მიო, ჩემო მიო“. 18.35 — ქართული სატელევიზიო ფილმი „მღერის „რუსთავი“. 19.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო დადგმა „მოსაწყენი ამბავი“. 22.00 — „ვრემია“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — მულტფილმები. 10.00 — „სიმღერა-89“. 11.10 — ა. პლატონოვი. „14 წითელი ქოხი“. სპექტაკლი. 14.00 — ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი. 14.30 — „იცოცხლე, დედამიწავ!“. 16.35 — ფილმი — ბავშვებს. „მხიარული ამბები“. 18.00 — უკრავს სსრ კავშირის სახელმწიფო კამერული ორკესტრი. 18.25 — მეცნიერება: თეორია, ექსპერიმენტი, პრაქტიკა. 19.10 — ინტერსიგნალი. 19.40 — დღეს მსოფლიოში. 19.55 — „გაფიცვის შემდეგ“. რეპორტაჟი კემეროვოდან. 20.15 — ვიმეორებთ თქვენი თხოვნით. შეხვედრა ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში ექიმ ფსიქოთერაპევტთან ა. მ. კაშპიროვსკისთან. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ეს იყო... იყო...“. 23.00 — პირველად ცენტრალური ტელევიზიის ეკრანზე. მხატვრული ფილმი „შემოდგომა“ 0.30 — დღეს მსოფლიოში. 0.45 — დოკუმენტური ფილმი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.20 — ინგლისური ენა. 10.50 — დოკუმენტური ფილმი. 11.20 — გესაუბრებით მხატვრებზე. ა. სავრასოვი. 12.00 — ახალი ამბები. 12.10 — „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“. XIX სერია. 13.05 — მულტფილმები. 13.30 — ინგლისური ენა. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — მხატვრული ფილმი „ასე მოვედი“. 15.40 — რიტმული ტანვარჯიში. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — ფილმი — ბავშვებს. 18.55 — „დროებისა და საკუთარი თავის შესახებ. ვ. კამენსკი. 19.10 — რიტმული ტანვარჯიში. 19.40 — დოკუმენტური ფილმი „სათავეებთან“. 19.50 — უკრაინის სახტელერადიო. „ახალგაზრდული სტუდია „გარტი“. 20.50 — ტელეფილმის პრემიერა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — უნივერსიადა. კალათბურთი. ვაჟები. საბჭოთა კავშირისა და კანადის ნაკრები გუნდები. გადაცემა დასავლეთ გერმანიიდან. 21.55 — რეკლამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ჩვენი ბაღი. 23.10 — მ. მუსორგსკი. ოპერა „ბორის გოდუნოვის“ სცენები. 0.30 — საინფორმაციო გამოშვება.

რედაქტორის მოადგილე
მ. უზრეხელიძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 ეე 07910 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14